

„სასოფლო გაზეთი“-ს გამოცემა, № 3.

663.28

გიგ. კ. მოღვაწე.


≡ ՅԵՐԱՅԻՆ ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ. ≡

६०८६०३९

30%
it.

~~100~~

„სასოფლო გაზეთი“-ს უფასო დამტკიცება



მ ე ლ ვ ი ნ ე მ გ ა.

ყურძნის დამწიფება.

სანამ ყურძენი დამწიფდებოდეს, მარცვლის შემადგენელი ნივთიერებანი ძლიერ რთულ ცვლილებას განიცდიან. ისრიმობის (მკუხობის) დროს მარცვალი მწვანე და მუავეა, შემდეგ კი სიტკბო თან და თან ემატება, სიმჟავე აკლ-დება და ყურძნის მარცვალი ივება და სრულ დება. ყურძნის დამწიფება დამოკიდებულია განსაკუთრებით ორ უმთავრეს გარემოებაზე: სითბოსა და სინათლეზე. რამდენათაც ზაფხული თბილია, იმდენათ ყურძენი უფრო ტკბილი და შაქრიანია, გრილი ზაფხული კი დამწიფებს აგვიანებს და ყურძენი მუავე რჩება. ასეთივე გავლენა აქვს დამწიფებაზე სინათლესაც: თუ ვაზს მზის სხივები თავისუფლად არ დასცემის და ვენახი დაჩრდილულია, მაშინ მარცვალში

შაქარი ცოტა მზადდება და ყურძნის წვენი
მეტი მუავე გამოდის. სხვა გარემოებათა შო-
რის ყურძნის დამწიფებაზე შეუძლია გავლენა
იქონიოს აგრეთვე ვაზის ხნოვანებამ, სხვა და სხვა
გვარშა ავათმყოფობამ, ჰავის და ნიადაგის თვი-
სებამ და სხვ. შაქრის გარდა ყურძნის დამწი-
ფებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სი-
მუავესაც. მრავალ სხვა და სხვა გვარ სიმუავეთა
შორის ისრიმში რაოდენობით ყველაზე უფრო
მეტი ვაშლის და ლვინის სიმუავეა. როდესაც
ყურძენი სიმწიფეში შედის, ვაშლის სიმუავე
ჰაერის მუავბადის ზეგავლენით იწვება და წყლად
და ნახშირმუავეთ იქცევა; მასთან ლვინის სიმუავეც
ქიმიურ ცვლილებას განიცდის და ლვინის
მარილათ ხდება. იმ დროს განმავლობაში, სა-
ნამ ყურძენი სრულიად დამწიფდებოდეს, სიმ-
უავე კლებულობს და შაქრის რაოდენობა მა-
ტულობს. როდესაც ყურძენი დამწიფებულია და
მის ნივთიერებათა დამზადება სრულიად დამთავ-
რებულია, ამის შემდეგ რაოდენობა შაქრისა

არამც თუ აღარ იმატებს, კლებულობს კიდევ. ჩადგან ნაწილი მისი იცვლება და სხვა ნივთა-ერებათ იქცევა. ცხადია, ამიტომ რამდენათ სასარგებლოა ვენახის პატრონისათვის რთველის დაწყება სწორეთ მაშინ, როდესაც ყურძენი სრულიად მწიფეა, ესე იგი როცა შაქრის მა-ტება შესწყდება, რაოდენობა მისი აღარ იცვლე-ბა, და მასთან სიმუავეც ეგრე შესამჩნევად აღარ კლებულობს.

ყურძნის დამწიფების შესატყობათ აჩა-ბობს სხვა და სხვა გვარი საშვალება, რომელთა შორის ყველაზე უბრალო და მარტივი შემდე-გია: გემოთი უნდა გასინჯოთ მარცვლის ის ნაწილი, რომელიც შიგნით კურკის ახლოს არის; თუ ეს ნაწილი მჟავე არ არის, მაშინ ყურძენი სრულიად მწიფეა და დროა რთველს შეუდგეთ. ხშირათ მტევნის გარეგანი ცვლილების საშვალებითაც შეიძლება ყურძნის სიმწიფის შეტყობა; როდესაც ყურძენი რბილდება და აღვილად იმარცვლება, კლერტი უმუქდება,

მარცვლის კანი უთხელდება და კურკა აღვი-
ლად სცილდება მარცვლის რბილს-მაშინ ყურ-
ძენი საკმაოდ მწიფეა და მალე უნდა მოიკრი-
ფოს. მაგრამ ყველაზე უძიუუარი და საუკეთე-
სო საშვალება ყურძნის წვენის გამოკვლევაზე
არის დამყარებული. ამ ვამოკვლევისათვის აი
როგორ უნდა მოიქცეთ: როდესაც ყურძენი
დამწიფების ხანაში შევა, ყოველ დღე, ან დღე
გამოშვებით რამოდენიმე ერთი და იგივე ჯი-
შის ყურძნის მტევანი უნდა მოკრიფოთ, ხე-
ლით დაჭილიტოთ, წვენი სუფთა ტილოში
გაწუროთ, ნაწური მაღალ ვიწრო ჭიქაში ჩაა-
სხათ და შიგ ტკბილის სასინჯავი შუშის მილი
უნდა ჩაუშვათ. ტკბილის სასინჯავი მილი,
რომელსაც არეომეტრს ეძახიან, ბევრნაირია;
მათ შორის ყველაზე უფრო მარტივი და აღვი-
ლი სახმარი ეგრეთ წოდებული ბაბთს არე-
ომეტრია. ეს არეომეტრი წარმოადგენს შუშის
მილს, რომლის განიერი ბოლო ვერცხლის
წყლით არის დატვირთული და შიგვე ტერმო-

მეტრი აქვს ჩართული, ვიწრო ლერი კი ხაზებით
ისეა დაყოფილი რამდენიმე ნაწილათ, რომ თი-
თეული მისი ნაწილი-გრადუსი პირ-დაპირ შაქრის
რაოდენობას უჩვენებს. როგორც წინათვსთქვით,
ამ არეომეტრს ყურძნის წვენით თითქმის სავსე
მაღალ ჭიქაში ჩაუშვებენ. რამდენათაც ყურძე-
ნი უფრო მწიფეა, და მაშასადამე მისი წვენი
უფრო შაქრიანი და სქელია, იმდენათ არეო-
მეტრი ნაკლებ დაიძირავს და მეტ გრადუსს
გვიჩვენებს. ვთქვათ არეომეტრმა 21 გრადუ-
სამდი ჩაიძირა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტკბილში
21 პროცენტი შაქარია. ამ გვარად უნდა გა-
ისინჯოს ყურძნის წვენი ყოველ დღე ან დღე
გამოშვებით და, თუ სამი - ოთხი დღის განმავ-
ლობაში შაქრის რაოდენობა ალარ მატულობს
და ერთი და იგივე რჩება, მაშინ დანამდვილე-
ბით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყურძენი დამწი-
ფებულია და დროა მოიკრიფოს. ტკბილის გასინ-
ჯვის დროს ერთი გარემოება უნდა მიიღოთ მხედ-
ველობაში: თუ ტკბილი ძლიერ თბილია ან ძლიერ

ცივი, იმ შემთხვევაში არეომეტრი შაქრის ნამ-
დვილ რაოდენობას ვერ გვიჩვენებს; უნდა ეცადოთ
ტკბილს გასინჯვის დროს 14 გრადუსი სითბო
ქონდეს, რასაც ადვილად შეიტყობთ იმ ტერ-
მომეტრის საშვალებით, რომელიც არეომეტრს
თან აქვს. თუ დამწიფების დროს წვიმიანი
დღეებია,, შაქრის რაოდენობა ყურძნის წვენში
არამც თუ აღარ მატულობს, კლებულობს კი-
დეც, ამისთვის უნდა განაგრძოთ ყურძნის გა-
სინჯვა, სანამ გამოიდარებდეს და ტკბილში
შაქარი ისევ მოჩარებდეს.

არეომეტრის საშვალებით ტკბილის გასინჯ-
ვა მევენახისაგან დიდ ცოდნას და განვითარე-
ბას არ მოითხოვს; ყველას ადვილად შეუძლია
შეისწავლოს მისი მოხმარა და უტყუარათ გა-
იგოს ყურძნის დამწიფების დრო.

ჭურჭლების დასუფთავება და დამზადება.

როველი რომ მოახლოვდება, რამოდენიმე
დღით ადრე, როგორც მარანის და სარდაფის,

აგრეთვე ყოველივე სახმარი ჭურჭლის გასუფ-
 თავებას და მომზადებას უნდა შეუდგეთ. თუ
 წასრულ წელს რთველის შემდეგ ჭურჭელი
 დარეცხილი და დასუფთავებული იყო, მაშინ
 მისი დამზადება დიდ დროსა და შრომას აღარ
 მოითხოვს. მაგრამ ჩვენში საუბედუროთ ჭურ-
 ჭლის სუფთად შენახვას არავითარ ყურად-
 ღებას არ აქცივენ: ხშირად შეზვდებით მაგა-
 ლითად საწნახელში საბუდარს, ან და ქვევ-
 რში დარჩენილ თხლეს, აყროლებულ წყალს
 და სხვ. არას დროს არ უნდა დაივიწყოთ ის,
 რომ თუ ლვინო ჭურჭლის უსუფთაობით
 თავიდანვე დასნეულდა, შემდეგ მისი მოვლა
 უნაყოფო შრომათ ჩაივლის. გამოკვლეულია,
 რომ ლვინის დასნეულება, სხვა და სხვა გვარი
 ავათმყოფობა წარმოსდგება ოვალთ უხილავი
 პატარა სოკოებისაგან, რომლებიც მათთვის ხელთ
 მომწყობ პირობებში, როგორც მაგალითად უსუ-
 ფთაო ჭურჭელში, ძლიერ აღვილად მრავლდე-
 ბიან. თუ ასეთი ჭურჭელი ხმარებამდის კარგათ

არ გამორეცხეთ, ეს მიკროსკოპიული სოკოები ღვინოს ჩაყვებიან, შიგ დაიბუდებენ, გამრავლდებიან და სრულიად საღ ღვინოს ხშირად რამოდენიმე დღის განმავლობაში დაასწერებენ.

ხის ჭურჭელი. ხის ჭურჭელი (საწნახელი, ბოჭკა, ჩანახი, კასრი და სხვა) რთველიდან რთველამდე ხშირად ხმება, იშლება და იბზარება. ამ შემთხვევაში ხის გასაჯლენთავათ ჭურჭელში წყალი ჩასხით და, სანამ დახეთქილი ადგილები არ დაიტურება, ყოველ დღე გამოუცვალეთ. შემდეგ ამისა ცხელი წყლით კარგათ გამორეცხეთ და თუ ჭურჭელს ობის ან ძმრის სუნი უდის — ცხელ წყალში გახსნილი სოდა გამოავლეთ (ნ გირვ. სოდა ერთ ვედრო მდუღარე წყალში), მერე მდუღარე წყლით გამორეცხეთ, შემდეგ ორჯერ-სამჯერ ცივით და როდესაც, ბოჭკა თუ ჩანახი, შეშრება, შიგ გოგირდის ნატეხი*) დაწვიო, კარგათ

*) ფხეიერ გოგირდში, ომელსაც ნაცრის წინააღმდეგ ხმარობენ, ხშირად თაგვის შაქარი ურევია; სახრჩოლებელათ ამისათვის წმინდა გადალხობილი გოგირდი უნდა იხმაროთ.

დახურეთ, რომ ბოლი არ ამოვიდეს და ხმარებამდის ასე შეინახეთ, ხმარების წინ, სანამ გოგირდ-ნაკმევ ჭურჭელში ტკბილს ჩაასხამდეთ, თავი ახადეთ, რომ ზედმეტი გოგირდის ბოლი ამოვიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში გოგირდეული სიმუავე, რომელიც გოგირდის დაწვის შემდეგ ჭურჭელში რჩება (თუ ზომაზედ მეტი გოგირდი იყო ნაკმევი) დუღალის დედას შეაწუხებს, მოქმედებას შეუშლის, შესაძლოა სიცოცხლეც მოუსპოს და დუღილი სამუდამო შესწყვიტოს. თუ ჭურჭელს წინანდელი თხლე ან ღვინის მარილი იქვს გვერდებზედ მიმმარი, მაშინ ჯერ ეს ქერქი უნდა აფხევოთ, შემდეგ მარილის სიმუავე ნარცვ**) წყლით გამორეცხეთ (1 გირვანქა მარილის სიმუავე 3 ვედრო წყალში), ბოლოს ორჯერ-სამჯერ ცივი წყალი გამოავლეთ და გაშრობის შემდეგ გოგირდი უბოლეთ: როდესაც შევი ღვინით შეღებული ჭურჭელი თეთრი ღვინისათვის გინდათ იხმაროთ, ამ შემთ-

**) ეს სიმუავე აფთიაქის მაღაზიაში იყიდება.

ხვევაშიაც მისი გაწმენდა მარილის სიმუავე ნა-
რევი წყლით შეიძლება (2 გირ. მარილის სიმ-
უავე სამ ვედრო წყალში). ამ მუავე სითხით
ორჯერ- სამჯერ გამორეცხილი ჭურჭელი სრუ-
ლიად კარგავს ღვინის საღებავს. ბოლოს, რო-
გორც წინათაც ვთქვით, ციფი წყალი გამოავლეთ
და გოგირდი უბოლეთ. თუ ჭურჭელი ახალია,
იმას ჯერ მდებარე წყლით გამორეცხავთ;
ამით ჭურჭელს გამოეცლება მწყლატე და მწა-
რე ნივთიერებანი, რომლებსაც ღვინოში გა-
დასვლა შეუძლიათ. შემდეგ ამისა შიგ მუავე
წყალი (2 გირვანქა მარილის სიმუავე სამ ვედ,
რო წყალში) ჩაასხით, კარგათ შეანჯლრიეთ,
რომ გვერდები და ფსკერი სიმუავით კარგათ
დაუსველდეს, რამდენიმეჯერ წმინდა წყლით
გამორეცხეთ, გოგირდი უბოლეთ და დახუ-
რეთ.

თახის ჭურჭელი.

ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებული ღვინის

შესანახავი ჭურჭელი ქვევრია. მის ავ-კარგობას აქ არ შევეხები, ვიტუვი მხოლოდ, რომ ბევრი სხვა ნაკლთან ერთად მას კიდევ ისიც ემატება, რომ მისი გასუფთავება ძლიერ ძნელი და მოუხერხებელია. მარილის ან გოგირდის სიმჟავით მისი გარეუხა არ შეიძლება. ერთად ერთი სიმჟავე, რომელიც ქვევრის გასასუფთავებლად შეიძლება იხმაროთ, ღვინის სიმჟავეა. ამისათვის ქვევრი ჯერ კარგად სარცხელით (ორჩხუშოთ) უნდა გამორეცხოთ, მერე შიგ ღვინის სიმჟავის სითხე უნდა ჩაასხათ (5 გირვ. ღვინის სიმჟავე ერთ ვედრო ცხელ წყალში გახსენით) *) და ამ სითხით ქვევრს გვერდები კარგად უნდა დაუსკელოთ. ნარეცხი სიმჟავე არ გადალვაროთ, -- კიდევ რამოდენიმე ქვევრის გამოსარეცხათ გამოგადგებათ. შემდეგ ამისა ქვევრს გოგირდი უბოლეთ და სარქველი (როგო) დაახურეთ.

ამ ბოლო დროს ჩვენში ხმარებაში შამოვიდა ცემენტის საწნახელი, როგორც იმგვარათვე უნდა გასუფთავება, როგორც ქვევრს, ესე

*) ღვინის სიმჟავე აფთიაქში იყიდება.

იგი ჯერ ცივი წყლით კარგათ გამოჩეულია, შემდეგ მდუღარეთი და ბოლოს ლვინის სიმჟავის სითხე გამოავლეთ. ძლიერ კარგია აგრეთვე, როგორც ქვევრის (ჭურის), აგრეთვე ცემენტის საწნახელის გვერდებზედ წმინდა სანთლის ან პარაფინის წასმა. ქვევრის გასანთვლა ჩვენში ძლიერ გავრცელებულია და ლვინის სუფთად შესანახად კარგი საშვალებაცაა. მიწაში ჩაფლულ თიხის ქვევრს შეუძლებელია ფორენის შემწეობით ნოტიო მიწიდან რამე ცუდი, ლვინისათვის მავნე, ნივთიერება არ შეუვიდეს, პარაფინი და სანთელი კი ამ ფორებს აავსებს, ქვევრის გვერდებს თხლად გადაეკვრის და ლვინოს ნოტიო მიწის მოქმედებიდან დაიფარავს.

ყურძნის ხთველი

დიდ მამულში, სადაც ყურძენი თანაბარათ ერთ დროს არ მწიფდება და რთველი რამოდენიმე კვირას გრძელდება, იქ ჯერ სა-

ადრეო ყურძენს კრეფენ და შემდეგ თან კა-
თან საგვიანოზე გადადიან. სადაც კი რევე-
ლი რამოდენიმე დღის მეტს არ გასტანს — საიდ-
რეო და საგვიანო ან ცალ-ცალკე უნდა
მოიკრიფოს და დაიწუროს ან არა და, თუ
სხვადასხვა ჯიშის ყურძნის დაწურვა ერთა აუ-
სურთ, მაშინ საგვიანოს ცოტა დაუმწიფებელს
კრეფენ, საადრეოს კი სრულიად მწიფეს და
ცოტა დრო გადასულსაც; ეს იმისთვის, რომ
გადამწიფებული, სიმჟავეს მოკლებული ყურძ-
ნის ღვინო ტკბილი, უხალისო და უბუკებრ
დგება, მასთან დიღხანს არ ძლებს და ადვი-
ლად ავადმყოფდება; დაუმწიფებელი, მკვასე
ყურძნის მიმატება კი ამ ნაკლულევანებებს ა-
წორებს, ე. ი. ღვინო უფრო ცოცხალი და
ხალისიანი დგება, კარგად იდულებს და ადვი-
ლად იწმინდება.

ყურძენი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როცა
კარგი დარია; წვიმიან ან ბურუსიან დღეს
დაკრეფილი ყურძენი წყლიანს, თხელს და

უვარგის ლვინოს იძლევა. ტუდია აგრეთვე
ცივ ამინდში ან დილა ადრიანად რთველის
დაწყება. ამ შემთხვევაში ცივი ტკბილი დუღი-
ლს მალე არ იწყებს, შემდეგ წესიერათ და
თანასწორათ არ დუღს და ამის გამო ლვინო-
ში ხშირად შეუცვლელი შაქარი რჩება, რასაც
მომავალში ბევრნაირი ავაღმყოფობა შეუძლია
გამოიწვიოს. სითბოს განსაკუთრებით შავ ყურ-
ძენზე აქვს გავლენა: თბილი წვენი უკეთ გა-
მოიტანს ჭაჭილან საფერავს, ვიდრე ცივი. მაგ-
რამ არც ის ვარგა, რომ ტკბილს დუღილის
დაწყებამდი 25 გრადუსზე მეტი ტემპერატუ-
რა, სითბო, ექნეს. ამ შემთხვევაში დუღილი
ერთბაშად იწყება, ძლიერ მალე თავდება და
რამდენათაც დუღილის ტემპერატურა მაღალია,
იმდენად უფრო მეტი შეუცვლელი შაქარი რჩე-
ბა დაყენებულ ლვინოში.

ყურძენი მაკრატლით უნდა მოსჭრათ.
ხელით მოწყვეტა ან დანით მოჭრა არ ვარგა,
რადგან ამ შემთხვევაში ვაზი ირხევა და ყურ-

ძენი მიწაზე სცვივა და ისვრება. მოჭრილ
მტევნებს ჩვენში საზოგადოთ კალათში აწყო-
ბენ, შემდეგ კალათიდან გოდორში ყრიან,
და როცა გოდორი გაივსება, აქედან უურძენი
საწნახელში გადააქვთ. დაწნულ კალათს და
გოდორს ის ნაკლი აქვს, რომ შიგ უურძენი
იჭყლოტება, წვენი გასღის და ამ გვარად ნა-
წილი მოსავლისა ილვრება და იყარგება. ამი-
სათვის უმჯობესია კალათების და გოდორების
მაგივრად ხის პატარა კასრები და ორ უური-
ანი ჩანახები იხმაროთ; დაჭყლეტილი უურძ-
ნის წვენი ამ გვარ ჭურჭნლში არ გავა
და არ დაილვრება. როცა უურძენი დასეტყვი-
ლია, ან სიცხისაგან დამწვარი, ან რაიმე ავადმ-
ყოფობით დაზიანებული და დამპალი, მაშინ
დაშავებული მტევნები უნდა გადირჩეს და ცალ-
კე უნდა დაიწუროს. უურძნის გადარჩევას
ჩვენში არავითარ უურადლებას არ აქცევენ,
მაშინ, როდესაც ამას დიჭი მნიშვნელობა აქვს
განსაკუთრებით წითელ ღვინისათვის: დამპა-

ლი ყურძნის ჭაჭა საფერავს ისვამს და მკრთა-
ლი ფერის გამოდის.

დუღილი რომ სრული და თანაბარი იქ-
ნეს, აუცილებლად საჭიროა ყურძნის კარგათ
დაჭყლეტა; ამით მარცვლის შემაღვენელი ნივ-
თიერებანი ერთმანეთში უკეთ აირევიან და
ჰაერის ზეგავლენით ლვინის დედა უფრო გაძ-
ლიერდება და ენერგიულათ დაიწყებს მუშა-
ობას. რამდენათაც კარგათ არის მარცვალი
დასრესილი, დუღილიც მით უფრო ძლიერი,
თანაბარი და სრულია. ყურძნის დაჭყლეტის
დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ კურ-
კა და კლერტი არ დაიმტვრეს: კურკაში უა-
კლერტში ისეთი ნივთიერებანი იმყოფება,
რომლებიც ლვინოს ზედმეტ სიმწილარტეს და
ხშირად არა სასიამოვნო სიმწარესაც აძლევს.
ყურძენს სპულეტენ ან ფეხით, საჭყლე-
ტავი მანქანით. ფეხით ყურძნის დაჭყლეტას
მართალია ბევრი კარგი მხარე აქვს, როგორც
მაგალითად ის, რომ მარცვალი კარგად ისრი-

სება და კურკა და კლერტი კი არ იმტვრევა, მაგრამ, თუ დროსა და შრომას დავაფასებთ, მაშინ მანქანა უნდა ვამჯობინოთ. ეს მანქანა შესდგება უძირო ხის კოლოფისაგან, რომელიც ორ ღერძზე, ცილინდრზე არის დადგმული; ყურძენი კოლოფიდან ცილინდრებს შეაცვივა და, როდესაც ამ ცილინდრებს დასატრიალებელ ტარის საშვალებით აამოძრავებენ, ყურძენი იჭყლიტება და როგორც წვენი, აგრეთვე ჭაჭა, სადუღებელ ჭურჭელში ან საქაჩივში ჩადის. ასეთ მანქანას უმთავრესად თეთრ ყურძნისათვის ხმარობენ. ამისათვის საჭყლეტავ მანქანას მაღლა ზგამენ, ისე რომ დასრუსილი ყურძენი ლარით პირდაპირ საქაჩივში ჩადიოდეს. როდესაც საქაჩივიდან ტკბილის დენა უეწყდება, მაშინ დარჩენილ ჭაჭას სწურავენ. თავის თავად, დაუქაჩავათ ნაღენ ღვინოს, ნაწრეტი ღვინო ჰქვიან. ეს ღვინო ლირსებით დიდათ განირჩევა ნაქაჩივი ანუ ნაწური ღვინისაგან: ეს უკანასკნელი უფრო მუქი,

მუავე და მწყლარტეა. თვით ნაქაჩავი ლვინოც
ერთი და იგივე ხარისხის არ გაშოდის: ყოველ
დაქაჩავის დროს სხვადასხვა ლვინო იწურება.
პირველი ნაწური უფრო რბილი და საამთა,
ვინემ მეორეთ და მესამეთ ნაქაჩავი, მეორე—
ლირსებით მესამეთ ნაწურს სჯობს და ასე ბო-
ლომდა. ჩვენებურ, იმერულ ლვინოებისათვის
აუცილებლათ საჭიროა ნაწრეტის და ნაწურის
ერთმანეთში არევა. ამით ნაწრეტ ლვინოს ტა-
ნინი მიემატება, რითაც აგრე ღარიბია ჭაჭა-
ზე დაუდუღებელი იმერული თეთრი ლვინოე-
ბი. ამ ტანინის შემწეობით ლვინო შემდეგში
უფრო ადვილათ და მალე დაიწმინდება, და
მასთან აგრე ადვილათ ალარ დასნეულდება და
დაავადმყოფდება ისეთი სენით, როგორც არის
მაგალითად ლვინის გასქელება ანუ გასუქება,
გადაბრუნება და სხვა.

წითელი ლვინის დაყენება ბევრათ განსხვა-
ვდება თეთრი ლვინის დაყენებისაგან. უმავ-
რესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წი-

თელი ღვინო ჭაჭაზე დუღს, საიდანაც საფერავი გამოაქვს და მასთან სიმწკლარტეს და სიმკვახეს იძენს. ამ უკანასკნელ არა სასიამოვნო ნივთიერებათა შესამცირებლათ, შავ ყურძენს დაჭყლეტამდის უსათუოდ კლერტი უნდა მოაცილოთ. ამისთვის არსებობს ერთგვარი საჭყლეტი მანქანა, რომელშიაც მტევანი იმარცვლება, კლერტი გარეთ გამოდის და მარცვალი კი იჭყლოტება და სადუღებელ ჭურჭელში ჩადის. ეს ჭურჭელი, ჩანახია თუ ქვევრი, უეპველად ერთ დღეს უნდა აივსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჭურჭლის ავსებას რამდენიმე დღე მოანდომეთ, ამით უკვე ადუღებულს და შემთბარს ტკბილს ახალი ცივი ტკბილის და ჭაჭის დამატებით გააგრილებთ და დუღალს შეაჩერებთ. ღვინის დაყენების ერთი უმთავრესი პირობათაგანი კი ის არის, რომ ტკბილმა მალე დაიწყოს დუღილი და შემდეგ თანაბარად და შეუწყვეტლათ იდუღოს. სადუღებელი ჭურჭელი პირამდინ არ უნდა აივსოს, ერთი მეხუთედი ჭურ-

ჭლისა ცარიელი უნდა დაიტოვოთ, რომ დუ-
ლილის დროს ტკბილი არ გაღმოვიდეს. ეს ცა-
რიელი ადგილი გაივსება ჰაერგვარი ნივთიერე-
რებით, რომელსაც ნახშირის სიმუავეს ეძახიან
და ტკბილს ჰაერის ზედმოქმედებისაგან დაიფა-
რავს.

ტკბილის დუღილი.

დაჭყლეტილი თეთრი ყურძნის წვენი, რო-
გორც ნაწრეტი, აგრეთვე საქანიავიდან ნაწური,
ორივე ერთად სუფთად გარეცხილ ბოჭკაში ან
ქვევრში უნდა ჩაასხათ. რამოდენიმე ხნის შემ-
დეგ ტკბილი ზედა პირზე ჰატარა ბუშტებს
იკეთებს; ეს ბუშტები თანდათან მრავლდებიან,
იზრდებიან, ტკბილი იქათება, თბება და დუ-
ლილს იწყებს. ამ მოვლენას ძველადვე იცნობ-
დნენ ჩვენი წინაპარნი და სარგებლობდენ მით,
როდესაც ტკბილ ყურძნის წვენიდან მაგარ სას-
მელს ლვინოს აკეთებდენ, მაგრამ მიზეზი ამ
მოვლენისა მათთვის გაუგეა: არი იყო. ვერ გაე-

გოთ რისგან და როგორ ჩნდებოდენ ტკბილში
ბუშტები, რა ამოძრავებდა და რა აღულებდა
ტკბილს, რა უჩინარი ძალა ანაწილებდა შა-
ქარს და მის მავიერ რა აჩენდა ლვინოში
ალკოგოლს - სიმაგრეს. ყველა ეს ძალიან დიდ-
ხანს იყო გაუგებარი კაცობრიობისათვის, სა
ნამ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს გამოჩენილ-
მა ქიმიკოსმა ლავუაზიემ და 'შემდეგ მეცნიერმა
პასტერმა არ გამოარკვიეს ნამდვილი მიზეზი და
შინაარსი ამ ფრიად საინტერესო მოვლენათა.
დღეს უკვე გამოკვლეული და გამოაშარებულია
ის, რომ შაქრის ხსნილი თავის თავად არ
აღულდება, თუ იმაში არ უჩევია ერთგვარი
სხეული, რომელსაც დუღილის დედასა ანუ
ფერმენტს ეძახიან.

რა ნივთიერება არის ეს დუღილის დედა
და როგორ მოქმედობს შაქრის განაწილებაზე?

აღულებულ ტკბილის ერთი წვეთი მიკროსკო-
პით რომ გავსინჯოთ, შივ აუარებელ პატარ-
პატარა რგვალს ან კვერცხივით მოგრძო ბუროებს

დავინახავთ. ეს ბურთები უსულდგუმულო არ-
სებას კი არ წარმოადგენენ; არამედ ცოცხლო-
ბენ, იკვებებიან, სუნთქავენ და მრავლდებიან,
როგორც სხვა ცოცხალი არსებანი, როგორც
მარტივი მცენარენი. ყურძნის ტკბილში
ან შაქრის წყალში ეს პაწაწინა მცენა-
რები ძლიერ აღვილად მრავლდებიან; ამისათ-
ვის ისინი კვირტებს იკეთებენ; ეს კვირტები
თანდათან იზრდება და, როდესაც დედის
ტოლა გახდებიან, მოცილდებიან მას, ცალკე
იწყებენ ცხოვრებასა და კვირტებით მრავლდე-
ბიან. როცა დუღილის დედა საზრდოს მოკლებუ-
ლია, მაშინ ის კვირტს ალარ იკეთებს, არა-
მედ რამოდენიმე ნაწილად იყოფება, თვითე-
ული მათგანი ცალკე გარსს იკეთებს და ყველა-
ნი ერთად პარკებივით დედა ბუტკის გარსში
ჩჩებიან გახვეული. ასეთ მდგომარეობაში
დუღილის დედა თითქოს ჰყარგავს სიცოცხ-
ლის ძალას და მოძრაობას, მაგრამ შესაფერ
პირობებში ამ პარკებიდან ხელახლა გამოდიან

ახალგაზდა არსებანი, თავისუფლად ცხოვრობენ და მრავლდებიან. ასეთია ბუნება და თვისება დუღილის დედისა.

რაც შეეხება შაქრის განაწილებას, ამ შემთხვევაში დუღილის დედა მოქმედობს ისე, როგორც ყოველი ცხოველი არსება: საზრდოობა და საზრდოს შეკვლა მისთვის ისეთივე საჭიროებაა, როგორც ყოველი ორგანიული ცხოველი არ სებისათვის; დუღილის დედაც, როგორც ცოცხალი არსება, შაქარს ჭამს, ინექტებს და ანაწილებს სპირტად და ნახშირის სიმჟავეთ. რადგან ეს ნივთიერებანი მისთვის საჭირონი და მარგებელნი არ არიან, დუღილის დედა მათ გარედ უშვებს; რაც კი მის განვითარებისათვის საჭიროა, იმას სავსებით ითვისებს და თავის სხეულში აფროვებს. ამ გვარად, შაქრის სპირტად და ნახშირის სიმჟავეთ განაწილება შედეგია ამ პაწაწირნა თვალით უხილავი მიკროსკოპიული არსებათა ცხოვრებისა. პაროვანი ნივთიერება ნახშირის სიმჟავე ტკბილიდან ზევით

ამოდის, რის გამოც ტკბილი მოძრაობს, დუღს
და იქაფება სპირტი ანუ ალკოგოლი კი ღვი-
ნოში იხსნება და შიგ რჩება. სპირტისა და
ნახშირის სიმჟავის გარდა დუღილის დროს სხვა
სხეულებიც ჩნდებიან წაჭარში, განსაკუთრებით
გლიცერინი და ქარვის სიმჟავე. ახლა გამოვიკვ-
ლიოთ — საიდან და როგორ ჩნდება ტკბილში
დუღილის დედა. იწყებს თუ არა ყურძენი დამწი-
ფებას, ეს პატარა სუკო ჰაერში გაშინათვე ჩნდე-
ბა და მატევნის მარცვალზე ბინავდება. ზამ-
თარში და გაზაფხულში ის მიწაში იფარავს თავს
და ზაფხულში ქარს და მწერებს მტევნებთან
ერთად ის ყურძნზე გადააქვთ. გამოკვლეულია,
რომ სანამ ყურძენი მკვახეა, იმის კანზე დუღი-
ლის დედა არ არის, მაგრამ დამწიფდება თუ
არა, ტკბილ მარცვლებს მაშინათვე ესტუმრება.
შემდეგ დაჭილების დროს ტკბილში გადავა და
აადუღებს მას. ტკბილის რიგიანად დადუღება
უმთავრესი პირობაა მაღალი ლირსების ღვინის
მისაღებად, ამისთვის დუღილის დროს განსა-

კუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოთ შევ-
დეგს: სადუღებელ დედის სიწმინდეს, დუ-
ღილის ტემპერატურას და დუღ ლის დედის
საზრდოს რაოდენობას. დაწიფებულ კურ-
ძენზე ბევრი სხვადასხვა გვარი დუღილის დედა
იმყოფება მათ შორის არის ისეთები, რომ-
ლიც დუღილისათვის მავნებელნიც არიან: შა-
ქარს საკმარისათ ვერ ანაწილებენ, ღვინოს
სასურველ ბუკეტს ვერ უმატებენ და ხშირად
ცუდ გემოსაც აძლევენ.

ცხადია ამისათვის ტკბილში რაც მეტი იქნება
კარგი, ღვინისათვის მარგებელი დედა, დუღი-
ლიც მიო უფრო ძლიერი, ჩქარი და თანაბარი
იქნება. ამისთვის უკანასკნელ დროს თანდათან
ვრცელდება წმინდა, ამორჩეული დუღილის
დედის ხმარება. საუკეთესო ღვინის თხლეიდან
აჩევენ და ამზადებენ ისეთ დედებს, რომლე-
ბიც ტკბილს უკეთ ადუღებენ, მეტ ალკოგოლს
აჩენენ და ბუკეტს, კარგ სურნელოვანებას
და სხვა სასურველ თვისებებს შემატებენ დაყე-

ნებულ ღვინოს. ასეთი ამორჩეული დუღი-
ლის დედა ჩვენშიაც მზადდება, სახელდობრ
საქარის სანერგის ლაბარატორიაში და მსურ
ველთ შეუძლიათ იქ იშოვონ*) მხოლოდ
საჭიროა მიაწოდოთ შემდევი ცნობები:
დაახლოვებით როდის გექნებათ როველი და
თეთრი თუ წითელი ღვინისათვის გსურთ ამო-
რჩეული დედა.

რასაკვირველია ღვინის ღირსებებზე გარდა
ღულილის დედესა სხვა გარემოებათაც აქვთ გა-
ვლენა, როგორც მაგალითად ვაზის ჯიშს,
ნიადაგს, ჰავას და სხვ. თუ ვაზი ჩვეულებრივ
დაბალ ღვინოსიძლევა ან ტკბილი დამპალ
ყურძნიდან არის მიღებული, იმ შემთხვევაში
ამორჩეული დედის საშვალებით მართალია
განთქმულ ღვინოს ვერ მიიღებთ, მაგრამ რამო-
დენიმეთ მაინც შეგიძლიათ გააუმჯობესოთ
დაბალი ხარისხის ღვინოც.

*) მისამართი: Мѣстечко Квирили, Сакарскій
ПИТОМНИКЪ.

დულილის გასაუმჯობესესბლად არსებობს აგ-
რეთვე შემდეგი სულ უბრალო, ყველასათვის
ხელმისაწვდომი საშვალება: ოთხი--ხუთი დღის
წინად რთველის დაწყებამდე საუკეთესო ჯიშის
ყურძნის რამოდენიმე მწიფე და სრულიად საღ
მტევანს აარჩევენ. დასკულეტავენ და პატარა
ბოჭკაში ან ქვევრში ჩასხამენ. როცა ეს ტკბი-
ლი მაგრად აღულდება, მაშინ რთველს შეუდ-
გებიან და ყოველ 50 ფუთზე ამნაირად აღუ-
ლებულ ტკბილის ერთ ფუთს დაუმატებენ; შემ-
დეგ აქედან აღებული ტკბილი კიდევ დედათ
გამოდგება ახლად გამოწურული ტკბილის
ასაღულებლად. მართალია ამრიგათ დაწზადე-
ბული დედა წმინდა, ამორჩეული დუღილის
დედა არ არის, შიგ ბევრი ცუდი, ღვინის მავ-
ნე არსებაც ურევია, მაგრამ მარგებელი დედა
მაინც მეტი იქნება შიგ, ცუდს აჯობებს და თა-
ვისებურად წაიყვანს ტკბილის დუღილს.

ფრიად საინტერესო ჭ საყურადღებო აგრეთ-
ვე ტემპერატურისა ჭ დუღილის დედის საზრ-

დოს ზედ მოქმედება შაქრის განაწილებაზე.

რამდენათაც ტკბილის ტემპერატურა*) დუღილის დროს 27 გრადუსზე უფრო მაღალია, დუღილიც მით უფრო მაღალებ ნელჲება და ტკბილში იმდენად მეტი შაქარი რჩება შეუცვლელი. დუღილის ტემპერატურა 9 გრადუსზე ნაკლები და 35 გრადუსზე მეტი არ უნდა იყოს. ტემპარატურა თუ ამ საზღვრებს გადასცილდა, იმ შემთხვევაში დუღილის ენერგია მთელი შაქრის განაწილებამდე შესუსტდება და, მაშასადამე, ტკბილში ბევრი შაქარი დარჩება შეუცვლელი. საუკეთესო და დუღილისათვის შესაფერი ტემპერატურა 24 27 გრადუსამდეა. ამ საზღვრებში დუღილის დედა უკეთ მრავლდება, მას მეტი ენერგია ეძლევა და დუღილს სრულიად ამთავრებს. ცხადია, ამისათვის რამდენად საჭიროა დუღილის დროს ტემპერატურის თვალის დევნება.

*) ტემპერატურის საზომავად უნდა იხმაროთ ეგრეთ წოდებული ცელსიუს ტერმომეტრი.

როდესაც ტემპერატურა 15 გრადუსზე დაბლა
დაიწევს, ნახევრამდის ცხელი წყლით სავ-
სე ქვაბში უნდა ჩადგათ. ქვაბი ცეცხლზე მანამ-
დის უნდა აღულოთ, სანამ კოკაში ტკბილი
კარგად არ გაცხელდება. ამის შემდევ გაცხე-
ლებული ტკბილი ასაღულებელ ტკბილში უნ-
და ჩასხათ და კარგად მოურიოთ. ტკბილი
ამით გათაბება და დუღალიც გაძლიერდება.
ტკბილი პირდაპირ ცეცხლზე არ უნდა გააც-
ხელოთ, რადგან ტკბილს დამწვარის გემო მი-
ეცემა, ეს გემო დანარჩენ ტკბილშიაც გადა-
ვა დალვინო ამით გაფუჭდება. არ ვარგა აგრეთ-
ვე თუჯის ან მოუკალავ სპილენძის ჭურჭელ
ში ტკბილის გაცხელდება. იმისათვის, რომ ლი-
თონი თუ კარგად მოკალული არ არის, შე-
საძლებელია ტკბილში გაიხსნას და ლვინო გაა-
ფუჭოს. იმის გასაგებათ, თუ რამდენი ტკბილი
უნდა გააცხელოთ 95 გრადუსამდე, რომ იმით
მთელი ტკბილი სასურველ ტემპერატურამდი
გაათბოთ, შეგიძლიათ იხელზძლვანელოთ შემ-

დეგი მაგალითით: ვთქვათ ბოჭკაში ან ქვევრ-ში 50 ვედრო ($37 \frac{1}{2}$ ფუთი) ტკბილი გაქვთ, რომლის ტემპერატურა 12 გრადუსია და გსურთ ეს ტკბილი 15 გრადუსამდე გაათბოთ, ამისათვის დაახლოვებით 2 ვედრო ტკბილი უნდა გააცხელოთ. ამ მაგალითის საშვალებით ადვილად შეგიძლიათ დაახლოვებით მაინც გა-მოიანგარიშოთ გასაცხელებელი ტკბილის რა-ოდენობა. ხშირად საღულებელი ჭურჭელი (ჩა-ნახი ან ბოჭკა) მარანში, ან სარდაფში სდგას; ამ შემთხვევაში ათბობენ იმ ალაგს, საღაც დუ-ლილი უნდა მოხდეს, და ამ რიგად ტკბილს სათბოს უმატებენ.

როდესაც რთველის დროს ძლიერ ცხელა და დუღილის ტემპერატურა 28 გრადუსზე მაღ-ლა ადის, მაშინ ტკბილს აგრილებენ. ამისათ-ვის საღულებელ ჭურჭელში მილებს ჩაუშვე-ბენ და სანამ ტკბილი არ გაგრილდება, ამ მი-ლებში რამოდენიმეჯერ ცივ წყალს გაატარე-ბენ. მეორე საშვალება, კიდევ უფრო ადვილი,

მდგომარეობს იმაში, რომ გამთბარ ტკბილს ონკანით საღულებელ ჭურჭლიდან ლრმა გობში ან ხის ჰატარა ჩანახში ასხამენ და აქედან ტკბილი სასრუტით უკანვუ საღულებელ ჭურჭელში გადააქვთ, და ასე, მანამდის, სანამ ტკბილი არ გაგრილდება და არ განიავდება. ამ საშვალებას, გარდა გაგრილებისა, ბევრი სხვა სარგებლობაც მოაქვს ტკბილისათვის, ზაგალითად ის, რომ განიავების დროს ტკბილი ჰაერიდან მუავბადს ისვამს, ამით დალილის დედას ჯანი და ძალა ემატება და ტკბილს უკეთ და მალე აღულებს. აგრილებენ ტკბილს აგრეთვე ყინულითაც ამისათვის ყინულს რამე ჭურჭელში ჩააგდებენ, თავს კარგად დაახურავენ და ტკბილში ჩაუშვებენ. 50 ვედრო ტკბილი რომ 4 გრადუსით გააგრილოთ, ამისათვის დაახლოვებით $1\frac{1}{2}$, ფუთი ყინული არის საჭირო.

გარდა შაქრისა, სიმჟავისა, ტანინისა და სხვა ნივთიერებათა, ტკბილში იმყოფება აგრეთ-

ვე ეგრედ წოდებრლი აზოტური ნივთიერებანი, ეს აზოტური ნივთიერებანი დუღილის დროს ტკბილისათვის მარტებელნი არიან, მაგრამ დუღილის შემდეგ კი ზოგიერთი მთვანი ლვინოს აუცილებლად უნდა გამოეცალოს, რადგან მათ ძლიერ ცვალებადი თვისება აქვთ: ადვილად იხრწნებიან, ფუჭდებიან და ლვინოს ცუდ გემოსა და სუნს აძლევენ. ტკბილიდგან ამ მავნე სხეულთა გამოსაცილებლად ხმარობენ ეგრედ წოდებულ ტანინს. ტანინი ბევრნაირია: მუხის ქერქის, გუნდის და სხვა, მაგრამ ლვინისათვის საუკეთესო ყურძნის კურკებიდან მომზადებული ტანინია, რომელსაც **ენოტანინს** ეძახიან. ამ ენოტანინს ის თვისება აქვს, რომ ზოგიერთ აზოთურ ნივთიერებათ უერთდება ტკბილს მათვან ანთავისუფლებს. წითელი ლვინო ტანინის მიმატებას არ საჭიროებს, რადგანაც მას საკუთარი ბუნებრივი ჭაჭის ტანინი საკმარისი აქვს, თეთრ ტკბილს კი, რომელიც საერთოდ ჭაჭაზე არ დუღს, ტანინი ძლი-

ერ ცოტა აქვს და მისთვის ტანინის დამატება აუცილებლად საჭიროა. თეთრ იმერულ ლვინოებს შედარებით სხვა ქვეყნების ლვინოებთან, ტანინის რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლები აქვს და ეს არის კიდევაც ერთი უმთავრესი მიზეზთაგინი იმის, რომ ლვინო არ იწმინდება, ძნელი შესანახავია, ადვილად ავად მყოფდება და ფუჭდება. ამ ნაკლულევანებების შესასწორებლად 40 ვედრო (30 ფუთი) ტკბილისათვის გახსენით 1 ვედრო ლვინოში 80 გრამმი ($^{1/5}$ გირვანქა) ენოტანინი, დუღილის დაწყებამდე ჩაასხით ტკბილში და კარგად მოურიეთ. დადუღების შემდეგ ტანინი ზომაზე მეტიც რომ დარჩეს ლვინოში, ამით მას არა უშავს რა — ლვინო რამდენათაც უფრო დაძველდება და დაიწმენდს, ტანინიც თანდათან შეუმცირდება.

მეღვინეობის ტეხნიკა ჩვენში იმდენათ განუვითარებელია, რომ ისეთ მშვენიერ მასალას, როგორც ჩვენებული ყურძნის წვენია, არსად

ფასი და სახელი არა აქვს. ღვინის დაყენებას
არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ და ვკმაყო-
ფილდებით იმით რასაც ბუნება გვაძლევს. თუ
ვენახის პატრონი ზემოდ მოყვანილ ცნობებს
მოიხმარს და გამოიყენებს, ხელს შეუწყობს
და გააძლიერებს დუღილის დედის მოქმედებას,
და მასთან ეცდება შეავსოს და შეასწროს
ტკბილის სხვა და სხვა გვარი ნაკლი, მაშინ
იმის ღვინოს ფასიც და გასავალიც ექნება.
